ახალი

# განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული"



განთიადი

86 წელი თქვენთან ერთად!

2018 წელი 30 მარტი № 3 № 8132

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com



აწყურისა და ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა სრულიად საქართველოში

გვ4.

შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას

გვ4. გვ4-10.

ხატად ზეცისად წოდებულო გვიხსენ ჩვენ ყოველთაგან განსაცდელთა, მრავალმოწყალეო!



ჩარჩოში ჩატეული სამყარო

გვ5.



## მაზნიაშვილის მუზეუმს პრემიერი სტუმრობდა

გვ2.

გვ3.

## სოფელ მეტეხის საბავშვო ბაღი ახალ შენობაში განთავსდა



## კასპში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

გვ3.

პირველი [illegible]

გვ9.

„ვთვლიდით აღმზრდელად, ვთვლიდით მეგობრად"

გვ9.



## მუნიციპალიტეტში გაზიფიცირება გრძელდება

გვ6.

დღესასწაულის აღსანიშნავად

გვ2.





## "ზრდა საქართველოში"

გვ3.

შეხვედრა პროექტის წარმომადგენლებთან



კარგი საქმის მიმბაძველნი

გვ8.

## შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში

გვ3.

გვ3.

## ხოვლეში საჯიდაო არენის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გვ8.

"ძალადობა სისუსტეა..."



დედების გასახარად

გვ5.

## პროფესიული არჩევანის პირისპირ

გვ5.

# მაზნიაშვილის მუზეუმს პრემიერი სტუმრობდა



მთელი ქვეყნის მასშტაბით აღინიშნა 1918-1921 წლებში საქართველოში მომხდარი მოვლენები, რომელსაც ქვეყნის ოკუპაცია მოჰყვა... სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სასირეთის სახლ-მუზეუმში 23 თებერვალს მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და სასირეთის სახლ-მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი “ახალი განთიადი”.

მუზეუმის დარბაზში შეიკრიბნენ სასირეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებისა /დირექტორი გივი მელაძე/ და სოფლის აქტივის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები.

სამეცნიერო კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის მენეჯერმა ოლია მაისურაძემ, შემდეგ მანვე წაიკითხა მოხსენება თემაზე – “1921 წლის საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ”.

სასირეთის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ მარიამ მაისურაძემ კონფერენციაზე წაიკითხა მის მიერვე დამუშავებული თემა – “იუნკერები”, რომელშიც მოთხრობილია ქართული სამხედრო სკოლის ანუ იუნკერთა სასწავლებლის შექმნის, იუნკერთა ცხოვრებისა და ბრძოლის ტრაგიკული ისტორია.

წაკითხულ მოხსენებებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სასირეთის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა იოსებ ბერიაშვილმა, რომელმაც თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 1918-1921 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებსა და გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით წარმოებულ ბრძოლებზე, მის ნიჭსა და დიდ სტრატეგიაზე...

– კონფერენციის მეორე დღეს ჩვენს მუზეუმს მოულოდნელად ესტუმრა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც თან ახლდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი



კახა სამხარაძე და კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი, – განაცხადა სახლ-მუზეუმის მენეჯერმა ოლია მაისურაძემ, – როგორც პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის, გულანთებული მამულიშვილის გიორგი მაზნიაშვილის და მისი თანამებრძოლების ღვაწლი და დამსახურება, თავგანწირვა მომავალ თაობებს აღაფრთოვანებს, ამიტომ ქართველმა ხალხმა სათანადო პატივი უნდა მიაგოს მათ ნათელ ხსოვნას.



პრემიერმა ინტერესით დაათვალიერა მუზეუმის დარბაზში გამოფენილი 1918-1921 წლებში საქართველოში მომხდარი ისტორიული მოვლენების ამსახველი სამეცნიერო და საბრძოლო ექსპონატები, შეხვდა, გაესაუბრა და დახმარება აღუთქვა სახლ-მუზეუმის კოლექტივს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

## დღესასწაულის აღსანიშნავად

საზეიმო კონცერტი, რომელიც ჩვენი ქალაქის კულტურის ცენტრში გაიმართა 7 მარტს ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა... ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო და კულტურის დაწესებულებების გაერთიანება, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი “ახალი განთიადი”.

დღესასწაულის აღსანიშნავად გამართულ გალა კონცერტზე მოწვეულ სტუმართა შორის, რა თქმა უნდა, ქალბატონები სჭარბობდნენ. დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და დღესასწაული მიულოცა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ... იგრძნობოდა საზეიმო განწყობა, ისმოდა ოვაციები, მოწვეულ ქალბატონებს მიართვეს იების თაიგულები. სარვამარტო კონცერტის ორგანიზატორებმა /კულტურის დაწესებულებების გაერთიანება/ მოწვეულ სტუმრებს წარუდგინეს საგანგებოდ მომზადებული საკონცერტო პროგრამა: დარბაზში ჟღერდა ქართველი კომპოზიტორების ცნობილი ჰიტები, მაყურებელი აპლოდისმენტებით ხვდებოდა ქორეოგრაფიულ და სამეჯლისო ცეკვებს... კონცერტის მსვლელობისას ღონისძიების წამყვანმა საზეიმოდ გამოაცხადა



ქალბატონებისათვის განკუთვნილი სიურპრიზის შესახებ, საქმე ის გახლავთ, რომ ყველასათვის კარგად ცნობილ და დამსახურებულ, ხელოვან ქალბატონებს ბელა კობიაშვილსა და ქეთევან გაჩეჩილაძეს სადღესასწაულო საჩუქარი მიუძღვნა კლინიკა “მარიმედის” დირექტორმა მამუკა ბერიძემ, ხოლო კასპელმა მეწარმემ ნუკრი ბახუაშვილმა სარვამარტო საჩუქარი გადასცა დას, ხათუნა ბახუაშვილს...

ქალბატონებს სარვამარტო დღესასწაული მიულოცეს ანსამბლ “მოურავის” სოლისტებმა: მიხეილ ქოსაშვილმა, ირაკლი ქებაძემ, დიმიტრი მჭედლიშვილმა, რევაზ კერესელიძემ, დარბაზი ამჯერადაც მოიხიბლა ზაზა მენაბდიშვილის გამოსვლით, რომელმაც შეასრულა რამდენიმე საესტრადო ნომერი. კონცერტში მონაწილეობდა და აპლოდისმენტები დაიმსახურა ქვემო ჭალის კულტურის სახლთან



არსებული ფოლკლორული ანსამბლის სოლისტმა გიორგი ხასიშვილმა, შთამბეჭდავი იყო კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგის ქეთევან გაჩეჩილაძის მიერ შესრულებული საოპერო და ბავშვების მიხეილ ჟივიძის, გურამ ქამხაძისა და გიორგი ქელეხსაშვილის მუსიკალური ნომრებიც... დღესასწაული გაალამაზეს სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ჯგუფის /ქორეოგრაფი გიორგი მჭედლიშვილი/ “წეროების” სოლისტებმა: ვახტანგ ბალათურიამ და სალომე მახარაშვილმა.

სარვამარტო კონცერტი დიდხანს გაგრძელდა, გვიანობამდე ჟღერდა ქართული მელოდიები, უფრო მეტად კი, ახალგაზრდები ხალისობდნენ.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

## შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში



კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე პროექტის ''განავითარე შენი რეგიონის'' ფარგლებში საქართველოს ახალგაზრდულ პარლამენტის და პარტნიორ ა(ა)იპ ,,საქართველოს დამოუკიდებელ სტუდენტთა და მოსწავლეთა გაერთიანების'' წარმომადგენლებს შეხვდნენ.

პროექტი ''განავითარე შენი რეგიონი'' გულისხმობს საქართველოს ქალაქებში სხვადასხვა გზებით და მეთოდებით ახალგაზრდა ლიდერების ჩამოყალიბებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას და მათი უნარების განვითარებას. შეძენილი გამოცდილებით მათ შესაძლებლობა მიეცემათ ჩაერთონ სახელმწიფო განვითარების პროცესში.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტის პოტენციალზე, კერძოდ - ტურიზმისა და საზაფხულო ბანაკებისათვის არსებულ საუკეთესო ადგილებზე და სხვა.

მხარეები სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

## სოფელ მეტეხის საბავშვო ბაღი ახალ შენობაში განთავსდა



სოფელ მეტეხის საბავშვო ბაღის 60-მა აღსაზრდელმა, პედაგოგებმა და მომსახურე პერსონალმა ახალმოსახლეობა იზეიმეს. ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა შეუსაბამო იყო იმ მოთხოვნილებებთან, რაც სკოლამდელი დაწესებულებისთვისაა საჭირო.

ბაღში აღსაზრდელთა ორი ჯგუფი ფუნქციონირებს, მათ სამი პედაგოგი, სამი ძიძა და დამხმარე პერსონალი ემსახურება. ორსართულიან შენობაში შექმნილია ყველა სათანადო პირობა, აქვს ეზო სადაც განთავსებულია ბავშვთა გასართობი საშუალებები.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლებმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს პარლამენტში კასპის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი მეზურნიშვილს და მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ მერებაშვილს, რომელთა ძალისხმევითაც გაიუმჯობესეს პირობები.

საბავშვო ბაღი ირაკლი მეზურნიშვილმა და მანუჩარ მერებაშვილმა გახსნეს.

## პროექტი ,,საზოგადოებრივი პროკურატურა,,



კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში პროექტის ''საზოგადოებრივი პროკურატურის'' ფარგლებში შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის თემა მიწის ნაკვეთების თაღლითობასთან დაკავშირებული სამუშაოები იყო, რომელზეც შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსმა ნანა გუგუტიშვილმა ვრცლად ისაუბრა და აუდიტორიას დასმულ კითხვებზე - გორის რაიონული პროკურორის მოადგილე მორის ჩუბინიძესთან ერთად ამომწურავი პასუხები გასცა.

საქართველოს პროკურატურა უკვე 10 წელია წარმატებით ახორციელებს პროექტს ''საზოგადოებრივი პროკურატურა'', რომელშიც კასპის მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული.

პროექტის მიზანია დანაშაულის პრევენცია, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების წინაშე საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების გაზრდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ტარდება საგანმანათლებლო, ინტელექტუალური, კულტურის, სპორტის და სოციალური ღონისძიებები.

საქართველოს პროკურატურის პროკურორები სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებთან და მოსახლეობასთან მუდმივად ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს.

## ''ზრდა საქართველოში'' შეხვედრა პროექტის წარმომადგენლებთან

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში, მერიის ხელმძღვანელებსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის ''ზრდა საქართველოში'' წარმომადგენლებს შორის საქმიანი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი სოფელ რენეს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობა იყო.

კოდისწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელშიც 8 სოფელი შედის, მათგან 4 გამყოფი ხაზისპირა სოფელია და ცხოვრობს ეთნიკური მოსახლეობა - ათეული წლებია საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. სკოლამდელი ასაკის ბავშვების ნაწილს ჩობალაურიდან და რენედან გორის რაიონის სოფელ შავშვებში დაქირავებული მიკროავტობუსით უხდებათ სიარული.

პროექტის - ''ზრდა საქართველოში'' ინიციატივითა და ხელშეწყობით დაიწყო



სოფელ რენეს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის საპროექტო სამუშაოები, რომელსაც სს ''აჭარკაპმშენი'' განახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს 70 აღსაზრდელზე ყველა საჭიროების სტანდარტების შესაბამისად მოწყობას, რომელიც სს ''აჭარკაპმშენის'' წარმომადგენლის განმარტებით მაისის თვეში დასრულდება.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვზე ზრუნვა და მის განათლებაზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა პროექტის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ასეთი ინიციატივისა და დახმარებისათვის.

ყოფილი საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის შემდეგ, 8 სოფლის 70 აღსაზრდელი თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღით ისარგებლებს.

## კასპში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება



კასპში ეფრემ მეორის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა დაათვალიერა.

ამჟამად ქუჩაზე, რომლის სიგრძე 200 გრძივი მეტრია წინამოსამზადებელი სამუშაოები - გზის არსებული საფარის მოფრეზვის სამუშაოებია დაწყებული.

პროექტი ითვალისწინებს საგზაო სამოსის, საფეხმავლო ბილიკის (ტროტუარი), ბეტონის ბორდიურების, სანიაღვრე ქსელის, მონოლითური ჭების და საგზაო ნიშნების მოწყობას. დასრულებულ ქუჩაზე ფოთლოვანი ხის ნერგები დაირგვება.

სამუშაოებს საგზაო-სამშენებლო სამმართველო №1 ახორციელებს და მასზე 257635 ლარი დაიხარჯება.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

## ხოვლეში საჭიდაო არენის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



სოფელ ხოვლეში ღია საჭიდაო არენის ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოები დაიწყო, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს საქმიანი-ეზო ''თაზო'' ახორციელებს.

ხოვლე ჭიდაობის ტრადიციების მხრივ მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ცნობილი სოფელია.

სოფელმა ბევრი წარმატებული მოჭიდავე აღზარდა, რომლებმაც კასპი საქართველოს ფარგლებს გარეთ ბევრჯერ ასახელეს. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

# აწყურისა და ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა სრულიად საქართველოში

**აწყურისა და ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა სრულიად საქართველოში ეძღვნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლისთავს.**

**კასპის წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის საკათედრო ტაძარში ხატები დაბრძანებული იქნება ერთი კვირის მანძილზე 25 მარტიდან – პირველ აპრილამდე. (ხატები ეპარქიაში შემობრძანდა 25 მარტს 14.00 სთ-ზე) კვირის განმავლობაში საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება ჩატარდება კასპის წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალის საკათედრო ტაძარში. მრევლთან მსახურების შემდეგ იმართება ხატების მოგზაურობასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები.**



## შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას

ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842) ხატმებრძოლეობის საშინელი ერესი მძვინვარებდა. ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ.

ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი, იგი ფარულად ინახავდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს. იმპერატორის გამოგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ეს ხატი, ერთ-ერთმა მათგანმა მახვილი დასცა. მოხდა სასწაული: ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ.

ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წინაშე, დილით კი, ღვთის განგებით, მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ წყალში ჩაუშვა. ხატი ზღვის ტალღებზე აღმართული, დასავლეთისკენ გაემართა.

დრო გადიოდა. ერთხელ, მიმწუხრისას, ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღე გაგრძელდა. წმიდა მთის მამები შეიკრიბნენ და თქვეს: რამე იყოს მნთებარე ესე წყალთა შინა? ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ნათლის სვეტი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ როცა მიახლოება გადაწყვიტეს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა.

ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა ერთი ქართველი ბერი, გაბრიელი. წმიდა მთის მამებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი წმიდა ხატის ზღვიდან გამოყვანებისა. იმავდროულად, დედა ღვთისა თავად გაბრიელსაც გამოეცხადა და უთხრა: შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი სავანისადმი.

ათონის ბერებმა ქართველთა მონასტერს მიაკითხეს, მოძებნეს გაბრიელი. გალობით და საკმევლის კმევით ზღვის ნაპირთან ჩავიდნენ.

გაბრიელი ზღვაში შევიდა, ტალღებზე, როგორც ხმელეთზე ისე გაიარა და წმიდა ხატი ნაპირზე გამოაბრძანა.

ეს მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.ზღვიდან გამოსვენებული ხატი დააბრძანეს და სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. იმ ადგილას ცივმა და საამო წყარომ ამოხეთქა. ამის შემდეგ ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაასვენეს.

მეორე დილით, კანდელის დასანთებად ბერებს ხატი ადგილზე არ დახვდა.

ძებნის შემდეგ იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს, ყოვლადწმიდა ქალწული ისევ გამოეცხადა გაბრიელს და უთხრა: გამოუცხადე ძმათა, რათა ამიერიდან უმეტეს არღა გამხდიდნენ მე, რამეთუ მე მნებავს არა იგი, რათა მიცავდეთ თქვენ, არამედ რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ, არა მხოლოდ ამა ცხოვრებასა შინა, არამედ მომავალსაცა და ვიდრემდე იხილვებოდეს სავანეს ამას შინა ხატი, არა მოგაკლდეს თქვენ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა. ბერები გამოუთქმელი სიხარულით აღივსნენ, იქვე ააგეს პატარა ტაძარი სადიდებლად ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა და საკვირველთმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს.

პორტაიტის, ანუ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

## ხატად ზეცისად წოდებულო გვიხსენ ჩუენ ყოველთაგან განსაცდელთა, მრავალმოწყალე!

მხოლოდ ის ფაქტი რომ აწყურის ღვთისმშობლის ხატი ყოვლადწმინდა ქალწულის პირველი გამოსახულებაა, რომელიც შემობრძანდა და დაემკვიდრა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს არა მხოლოდ მორწმუნე ადამიანებისათვის. თუ თვალს გავადევნებთ ხატის დაბადებასა თუ ცხოვრებას საქართველოში უდაოდ ვაღიარებთ, რომ ისტორიულად სარწმუნოების დაცვა ქართველობის დაცვას ნიშნავდა.

ამჯერად, კასპის წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალის საკათედრო ტაძარში დაბრძანებულია აწყურის ღვთისმშობლის ხატი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტრადიციით, ხატის ისტორია ასეთია: მაცხოვრის ამაღლების შემდეგ ქრისტეს მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვინ სად წასულიყო ქრისტეს საქადაგებლად. მარიამს წილად ივერია ხვდა, მაგრამ ახლოვდებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ჟამი და მას უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა: დედაო ჩემო, არა უგულებელსვყო ერი იგი საზეპურო უფროის ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის... წარავლინე პირველწოდებული ანდრია შენს წილხვედრ ქვეყანაში და თან გაატანე შენი ხატი... შენ წილ ის ხატი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკანასკნელ ჟამამდე.

ამ გამოცხადების შემდეგ მარიამ ღვთისმშობელმა ანდრია პირველწოდებულს დაავალა ივერიაში ქრისტეს ქადაგება. ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, მიიდო სახეზე და სასწაულებრივად, ფიცარზე მისი ხელთუქმნელი ხატი გამოისახა. შვილო ანდრია, ...წაასვენე სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა, რათა ვიყო გამგებელი მათი ცხოვრებისა, ხელი აღვუპყრა და შევეწიო და არავინ მტერთაგანმა სძლიოს მათ.

ანდრია მოციქული ღვთისმშობლისგან კურთხევის აღების შემდეგ ხელთუქმნელი ხატით საქართველოში ჩამობრძანდა. თავდაპირველად, წმინდა ანდრია ტრაპიზონში შემოვიდა რომელ არს სოფელ მეგრელთა და მცირე ხანი იქ დაჰყო. შემდეგ გადავიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და სახარების ქადაგება დაიწყო.

წმინდა ანდრიასაც მრავალი განსაცდელი დაუთმენია ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და წმინდა ხატის შეწევნით სასწაულები აღასრულა და მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. იქ კი, სადაც ხატი დაასვენა, მაკურნებელი წყარო აღმოცენდა.

მოციქულმა ნათლობის შემდეგ ქართლში მღვდელნი და დიაკონნი დაადგინა, ხოლო პირველი ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე ააშენა. ქართლელებმა მოციქულს სთხოვეს მცველად ღვთისმშობლის ხატი დაეტოვებინა; წმინდა მოციქულმა აიღო იმავე ზომის ფიცარი, მიადო წმინდა ხატს და ღვთისმშობლის სახე მეყვსეულად გამოისახა მასზე. ხატი კი პატივით დაასვენეს ეკლესიაში.

ქართლიდან წმ. ანდრია ოძრხეს გავლით სამცხეში გადავიდა და სოფელ ზადენ-გორასთან გაჩერდა, სადაც ლოცვით წარმართული კერპი დაანგრია. შემდეგ, მოციქული დაბა სოსანგეთში (ახლანდელ აწყურში) გადავიდა, სადაც იმ მხარის გამგებლის - ქვრივი ქალის შვილი მკვდრეთით აღადგინა. გახარებულმა დედამ იწამა ქრისტესი და მოინათლა, შემდეგ კი წერილი მისწერა სამცხის მთავრებს, ყოველივე აუწყა და თავისთან მიიწვია. სოსანგეთი ხალხით გაივსო. ეკლესიის გადმოცემით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი საკერპოში შეასვენეს და ჩაკეტეს, დილით კი, როდესაც საკერპო გაალეს, კერპები დამსხვრეულნი დახვდათ, ხოლო ღვთისმშობლის ხატი მზესავით გაბრწყინებული. მაშინ კი ყველა დამსწრემ ერთხმად აღიარა ქრისტე.

წმინდა ანდრიამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი სოსანგეთში დატოვა. მესხებმა ხატს ეკვდერი აუშენეს და დიდი პატივით დააბრძანეს.

წმინდა დემეტრე თავდადებულის მეფობისას, სამცხეში მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომელმაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია და ყველა ტაძარი და ციხესიმაგრე გაანადგურა. დაინგრა აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარიც, მაგრამ ჩამონგრეული გუმბათი ქუდივით დაეფარა ხატს და ეს დიდი სიწმინდე განადგურებას გადაურჩა.

1476 წელს საქართველოს ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი შემოესია, დაარბია სამცხე და აწყურის ღვთისმშობლის ხატი ტყვედ წაიყვანა. მესხეთში დიდი გლოვა და მწუხარება დადგა. მესხნი აღდგნენ და ქართლში გადასახლდნენ; მათი გადასახლება 7 წელს გაგრძელდა. ირანს კი ღვთის რისხვა დაატყდა თავს: ხატის დატყვევების შემდეგ ქვეყანაში არცა შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა. ირანელებმა გამოიკვლიეს უბედურების მიზეზი და დაასკვნეს, რომ ეს უნდა ყოფილიყო საქართველოდან წამოღებული დიდი პატივით შემკული ფიცარი, რომელიც გზაში სასწაულებს ახდენდა. ირანელებს შეეშინდათ ხატის საქართველოში ჩამობრძანება და გადაწყვიტეს, ხატი გაუხედნავ რაშზე დაემაგრებინათ და ისე გამოეშვათ სამცხისკენ. ღვთის განგებით, ცხენმა სწრაფად მიაღწია სამცხეს. ქართლში გადახვეწილმა მესხებმა სიხარულით შეიტყვეს ეს ამბავი და დაბრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ მეფე კონსტანტინემ არ გამოუშვა. ისინიც ადგნენ და გამოიპარნენ. კონსტანტინემ მათ ჯარი დაადევნა, მაგრამ მესხებმა აწყურის ღვთისმშობლის სახელით დაამარცხეს მდევარი.

დასასრული გვ-10.

# ჩარჩოში ჩაწერილი სამყარო

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა მხატვარ-ფერმწერის ნანა მარტინენკო-ბაიდაურის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს... მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შეიკრიბნენ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი მუშაკები, განათლების, კულტურის მუშაკთა წარმომადგენლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, მხატვრის ოჯახის წევრები და ახლობლები, პრესის, ტელევიზიის წარმომადგენლები.

დარბაზში შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას მიესალმა, მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის და გულითადად მიულოცა გაზაფხულის დღესასწაულები მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. გამოფენის მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს გამოფენილი ფერწერული ნამუშევრები /სულ 31 ნახატი/, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი... მხატვარი-ფერმწერი ნანა მარტინენკო-ბაიდაური წარმოშობით ბორჯომელია. საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში, შემდეგ კი, სწავლობდა მოსკოვის სახალხო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, რომლის დასრულებისთანავე დაბრუნდა სამშობლოში და მალევე დაოჯახდა, სამუდამოდ დამკვიდრდა სოფელ დოესში, რაიონში კარგად ცნობილი სამეურნეო მუშაკის ჯემალ ბაიდაურის მეუღლე აქაურებმა გულითადად მიიღეს. ხელოვანი ქალბატონი დღესაც მუშაობს დოესის საჯარო სკოლაში ხატვის მასწავლებლად. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენაში, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. ამაყობს თავისი ოჯახით, შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით.





გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ ტატანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე.

წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრები შეაფასა მხატვარმა იორამ იმედაშვილმა, სიტყვებით გამოვიდნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები დალი კორკომაშვილი, ლიანა მენაბდიშვილი, მანანა ყაბანაშვილი, თამარ გაბოძე.

გამოფენა ორკვირას გაგრძელდა.

**კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.**

# პროფესიული არჩევანის პირისპირ

თებერვლის შუა რიცხვებში კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა შეხვედრა – "პროფესიული არჩევანის პირისპირ". შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების X, X1 და X11 კლასების მოსწავლეები, აქ იყვნენ აგრეთვე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები... შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერმა და ამ ღონისძიების ორგანიზატორმა მაია მარჯანიძემ, რომელმაც მოუწოდა დამსწრე საზოგადოებასა და მოწვეულ სტუმრებს, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობას, რათა აღნიშნულ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან მიგრიაული, კასპის მეოთხე საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი, ქიმიკოსი ნინელი ყაზარაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კასპის საინფორმაციო – საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტები, აგრონომი ნოდარ ბახტაძე და მეხილეობა- მევენახეობისა და მეფუტკრეობის სპეციალისტი სიმონ მიდელაშვილი, შპს "მედალფას" კასპის სამედიცინო ცენტრის სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, მეან-გინეკოლოგი თათია სადღობელაშვილი, ბიზნესის და ტექნოლოგიების მართვის ცენტრის მენეჯერი, საქართველოს პარლამენტის კასპის საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენელი ხატია ბაინდურაშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტი, ფილოლოგი, მთარგმნელი, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ლია სოზიაშვილი, ამავე გაერთიანების სპეციალისტი, რეჟისორი და კინომცოდნე ლიანა მენაბდიშვილი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მენეჯერი თეა ხორბალაძე, კასპის მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი, დაწყებითი კლასების მასწავლებელი ქეთევან ხითარიძე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალისტი ლია ნიპარიშვილი, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი, გეოგრაფიის პედაგოგი თეა ბარნაბიშვილი.

საკუთარი პოტენციალის შესაძლებლობებისა და არჩევანის შესახებ აზრი გამოთქვეს ქალაქის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარიამ გაბოძემ, თათია მანგოშვილმა, სოფიო ქოქაშვილმა, გიორგი მამაცაშვილმა, თეონა გორგაძემ, გიორგი ნონიაშვილმა, მესამესკოლელებმა: გვანცა ხიზანიძემ, ხატია ბალხამიშვილმა, ანა თათარაშვილმა, მარიამ ოდიშვილმა, მიხეილ მოსიაშვილმა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ისიც გაირკვა, რომ შეხვედრა ეგიდით – "პროფესიული არჩევანის პირისპირ" უახლოეს პერიოდში ისევ გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ მომავალი აბიტურიენტები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, დაინტერესებული პირები, მშობლები.

**კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.**

# დედების გასახარად

7 მარტს კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური საღამო სახელწოდებით – "კვლავ ზურმუხტისფრად მოდის გაზაფხული", რომელშიც მონაწილეობდნენ კასპის მესამე საჯარო სკოლის / დირექტორი მარინე ქონიაშვილი/ მეოთხე ა კლასის /დამრიგებელი ნონა ხოხაშვილი/ მოსწავლეები: გიორგი თაბუაშვილი, მარიამ მერებაშვილი, ანა ოდიშვილი, ქეთევან ხინჩაგოვი, გიორგი ნაბახტეველი, ნინო ბალხამიშვილი, ნიკოლოზ ბალხამიშვილი, თინათინ აჯიაშვილი, გიორგი ყველაშვილი, ნიკოლოზ წამალაშვილი, ელენე გულაროვი, მარიამ ქამხაძე, გიორგი სეხნიაშვილი, ცოტნე გაროზაშვილი, ნიკოლოზ ბაინდურაშვილი, სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრის "მომავლის" /ხელმძღვანელები გიორგი კენჭუაშვილი და მარიამ მჭედელური/ მოსწავლეები: საბა ბერიაშვილი, შოთიკო და მიხეილ ჯანელიძეები.



ბავშვებმა წარმოადგინეს დედისადმი მიძღვნილი საინტერესო ლიტერატურული კომპოზიცია /წამყვანი პატარა ანა ოდიშვილი/, აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა, მინიატურები, შესრულდა ქორეოგრაფიული ცეკვებიც... ღონისძიების ორგანიზატორი და ფინანსური მხარდამჭერი გახლდათ საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტი ია ბიძინაშვილი, ხოლო ზეიმს უძღვებოდა მაია ქესაური. შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი.

**კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.**

# ჭიდაობის სამჭედლოში

კასპის რაიონს ჭიდაობის "სამჭედლოს" შემთხვევით არ ეძახიან, ეს მიმდინარე, 2018 –ის სპორტული წლის დასაწყისმაც დაადასტურა... მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი ჭიდაობის სკოლების წარმომადგენლებმა აქტიური და შედეგიანი მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის მასშტაბით გამართულ სპორტულ ღონისძიებებსა თუ პირველობებში.

წარსულში ცნობილი მოჭიდავისა და დღესდღეობით ერთ-ერთი გამორჩეული მწვრთნელის ნუგზარ მამულაშვილის "შეგირდებიდან" იანვარში 2002-2003 წლებში დაბადებულ საქართველოს პირველობის შესარჩევ ტურნირზე ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკთა შორის მოხვდნენ დათო ნატროშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი, ბაქარ ერაშვილი, ვალერი მღებრიშვილი, ფრიდონ მჭედლიშვილი, ალბერტ გორგაძე. სხვათა შორის, ირაკლი დემეტრაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა 90კგ წონით კატეგორიაში საქართველოს პირველობაზე 10-11 თებერვალს ქალაქ თბილისში გამართულ ტურნირზე ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკთა შორის.



მარცხნიდან მეორე ბექა ბერძენიშვილი

არანაკლებ წარმატებებს მიაღწიეს კასპელმა სამბისტებმაც. საქართველოს პირად პირველობაზე ჭიდაობა სამბოში მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ბექა ბერძენიშვილი, ხოლო კახა მამულაშვილი, გიორგი კანკავა და გიორგი გუგულაშვილი მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლნენ. თებერვალში გამართულ საქართველოს პირველობაზე ჭიდაობა სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის მძიმე წონაში მესამე ადგილი დაიკავეს სპარტაკ



მარჯვნიდან მეორე გიორგი გუგულაშვილი

გულიაშვილმა და ოთარ მეშველაშვილმა... წარმატებული აღმოჩნდა კასპელი სპორტსმენებისათვის მიმდინარე წლის 11 მარტს გამართული საქართველოს ღია პირველობა ტაეკვან დოში. საქმე ის გახლავთ, რომ მწვრთნელ ოთარ უტარაშვილის აღსაზრდელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანეს მუნიციპალიტეტის სპორტის მოყვარულებს. გაგაცნობთ გამარჯვებულ სპორტსმენებს: მარიამ მანძულაშვილი - პირველი ადგილი - 48 კგ. - 2006-2007 წლებში დაბადებულთა შორის, მედეა ხალიბეგაშვილი – მეორე ადგილი- 24კგ. - 2008-2011 წლებში დაბადებულთა შორის, ანი მამულაშვილი - მესამე ადგილი – 24 კგ. -2008-2011 წლებში დაბადებულთა შორის, საბა ხანოიანი – მეორე ადგილი – 21 კგ. – 2008-2011 წლებში დაბადებულთა შორის, ზურა გოგიაშვილი – მესამე ადგილი – 30 კგ., სოსო რთველიაშვილი – მესამე ადგილი – 33 კგ, ვასილ ხალიბეგაშვილი – მესამე ადგილი – 27კგ.



მარჯვნივ პირველი კახა მამულაშვილი, მარჯვნივ მეორე გიორგი კანკავა.

– ყველაზე ძალიან კი, გაგვახარა დოესელმა გოგონამ ეკა რაზმაძემ, ამ საამაყო ძიუდოისტს შესანიშნავად იცნობს ჩვენი რაიონის სპორტული საზოგადოება, – აცხადებს მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, – იგი წლებია, ინტენსიურად ვარჯიშობს ცნობილი სახელოვანი მოჭიდავისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ჯემალ ხორბალაძის მეთვალყურეობით და ამჯერადაც ასახელა მწვრთნელი ძიუდოისტმა გოგონამ, საქმე ის გახლავთ, რომ ეკა რაზმაძემ პირველი ადგილი მოიპოვა ჭაბუკ გოგონათა შორის ძიუდოში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში 4-5 თებერვალს გამართულ ტურნირზე 38 კგ. წონით კატეგორიაში.

მოკლედ, ეკა რაზმაძე გახდა საქართველოს ჭაბუკ გოგონათა ნაკრები გუნდის წევრი და მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში ანტალიაში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროთასზე ურიგოდ არ გამოსულა – 40 კგ. წონით კატეგორიაში გამართულ ასპარეზობაში გამარჯვებულთა შორის იგი მეშვიდე გახლდათ... წინ კიდევ ბევრია გასავლელი, ჩვენი სპორტსმენები კვლავაც გვასახელებენ.





**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

# მუნიციპალიტეტში გაზიფიცირება გრძელდება

გაზის ტრანსპორტირების კომპანია კასპის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოებს აგრძელებს.

სამუშაოები ამჟამად სოფელ გარიყულაში მიმდინარეობს, რომელსაც შპს "ალიონი" ახორციელებს.





მაგისტრალის დასრულების და ბუნებრივი აირის მიღების შემდეგ სოფლის მოსახლეობას საყოფაცხოვრებო პირობები გაუუმჯობესდება.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

*შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ლექსები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. ,,რედაქცია,, ელოდება გამოხმაურებას.*

# საგაზაფხულოდ

ლამაზად მორთული, საგაზაფხულო ფერებით დამშვენებული დოესის მუსიკალური სკოლის დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა, აქ იყვნენ მოსწავლეების მშობლები, პედაგოგები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები, განათლების, კულტურის და პრესის წარმომადგენლები... ღონისძიებამ, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, დიდი მოწონება დაიმსახურა. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა მუსიკალური სკოლის დირექტორმა მარინა გათაშვილმა. შემდეგ სცენა დაეთმო მომღერალთა გუნდს, რომლის მიერ შესრულებულმა სიმღერამ "ყაყაჩოები" – აპლოდისმენტები დაიმსახურა. გალა კონცერტზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საფორტეპიანო და საესტრადო ნაწარმოებები, ფოლკლორული სიმღერები, ტოლს არ უდებდნენ სიმღერაში პედაგოგების: გათაშვილის, ნიორაძის, გაბინაშვილის, წიწიკაშვილის და მიქაბაძის მოსწავლეები. დამსწრე საზოგადოება, მოწვეული სტუმრები და მშობლები აღფრთოვანებულები დარჩნენ ხოვლის მუსიკალური სკოლის პედაგოგის ლია მიქაბაძის კონცერტმეისტერობით... ყველაზე შთამბეჭდავი მაინც პატარა შემსრულებლების გამოსვლა იყო, ემოციები არ ცხრებოდა, ტაშს უკრავდნენ ბავშვებს, რომელთა შორის იყო ვასილ უხურგუნაშვილი და ქეთი ბეგლარაშვილი, სალომე წერუაშვილი და გიორგი მერებაშვილი, შოთა შაქარაშვილი, მარიამ ბითაძე და მარიამ ხოზაშვილი, თამთა ტურაშვილი და ქეთევან ბარჯაძე, გიორგი კალატოზიშვილი და ბარბარე მიდელაშვილი.

– მართალია, ეს იყო საზეიმო კონცერტი, განწყობისათვის დაგეგმილი საბავშვო შოუ- გამოსვლა, მაგრამ აქ ნათლად გამოიკვეთა მთელი მუსიკალური სკოლის კოლექტივის ერთსულოვნება და ორგანიზებულობა, მაღალი პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, – განაცხადა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტ -კურატორმა იზაბელა კობიაშვილმა, – რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონცერტზე გამოჩნდა ბავშვების მონდომება და საერთო განწყობა.

საგაზაფხულო ზეიმით კმაყოფილება გამოთქვეს მოსწავლეების მშობლებმაც. კონცერტი დასრულდა მრავალჟამიერით.

**კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**

# კალათბურთში „კასპი„ – „მაქაბისა„ და სხვა შეხვედრების ამბები



რამდენიმე თვეა, რაც კასპელი გულშემატკივრების ყურადღება მიპყრობილია ჩვენი ქალაქის ჭაბუკთა საკალათბურთო გუნდისაკენ - ,,კასპი,, რომელიც წარმატებით ჩაერთო საქართველოს საკალათბურთო გათამაშების ,,ბ” ლიგის ,,ბ,, ჯგუფის შემადგენლობაში, სადაც ხუთი გუნდია. სასტარტო შეხვედრაში ,, კასპმა” ,,თსუ”-ს გუნდი დაამარცხა (65: 40), მესამეში უფრო დამაჯერებელი ანგარიშით სძლია დედაქალაქურ ,,ექსელკინგზს” (75: 54). სწორედ აქ გამოჩნდა გუნდის შესაძლებლობა, როცა არ გატყდა მეორე შეხვედრაში მარცხის გამო ,,ქუთაისთან” და უფრო მეტად კი, მეოთხე მატჩში, რომელიც სტუმრად გამართა ქ. თბილისის ახალ სპორტის სასახლეში. მართალია, 8 მარტის თამაშის პირველი პერიოდი მასპინძელმა ,,მაქაბიმ” 5-ქულიანი სხვაობით მოიგო, მაგრამ უკვე ჩანდა, რომ კასპელმა ჭაბუკებმა თავიანთი თამაში იპოვეს. მართლაც, მე-2 და მე-3 პერიოდებში სოლიდური მარაგი შეიქმნეს: საწყისის 17 ქულას კიდევ 18 და 19 დაუმატეს და, თითქოს, ბოლო პერიოდში მათ გამარჯვებამდე მისვლა აღარ უნდა გაძნელებოდათ... არადა, სწორედ გადამწყვეტი 10-წუთიანი მონაკვეთი ჩაუვარდათ, აქტივში მხოლოდ 5 ქულა მიითვალეს. დასამალი არაა, რომ მათ მონდომებასა და თავდადებას წინ, “მაქაბის” კარგ გუნდთან ერთად, დედაქალაქელი მსაჯებიც აღუდგნენ და ... ერთ მომენტში თუ ჩვენი ბიჭები 16 ქულით იგებდნენ, საბოლოოდ მხოლოდ 1-ქულიანი გამარჯვება შერჩათ. დიახ, მათი მხრიდან ეს იყო ერთგვარი გმირობის ტოლფასი წარმატება, რისთვისაც მწვრთნელი დავით ჯინიყაშვილის შეგირდები მხოლოდ ქებას იმსახურებენ.

აი, ისინიც: ტატო თაბუაშვილი (გუნდის კაპიტანი და საუკეთესო ბომბარდირი —171 ქულა (!) 4 მატჩში), ვახტანგ წიკლაური, საბა რუბაშვილი, დავით ნიკოლიშვილი, ირაკლი მაჭარაშვილი, გიგა ტატანაშვილი, ნუკრი ბაქაქური, კობა გასიტაშვილი, შალვა ნასყიდაშვილი, ნიკა ბეგლარაშვილი, გიორგი მუკნიაშვილი და ზურაბ დვალიშვილი (აღსანიშნავია, რომ გუნდს აკლდა წინა თამაშში ტრავმირებული ნიკა სტეფნაძე. ასეთი ფაქტი მიგვანიშნებს გათამაშების თითოეული მატჩის პრინციპულობასა და დაძაბულობაზე).

საინტერესო და იშვიათი შემთხვევა მოხდა მე-2 წრის სასტარტო თამაშმდე: ,,კასპი” დედაქალაქის ,,თსუ-ს” ესტუმრა. მასპინძლები კი საასპარეზოდ არ გამოცხადდნენ (!). ამიტომ ,,კასპს,, ტექნიკური მოგება (20:0) ჩაეთვალა და 3 ქულა დაერიცხა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 14 მარტის მატჩს ჯგუფის ლიდერთან - ,,ქუთაისთან,,: რიონისპირელების უპირატესობა ახლაც გამოჩნდა. ჩვენმა ბიჭებმა ძლიერ მეტოქესთან ყველაფერი სცადეს, მაგრამ მარცხს ვერ გადაურჩნენ (35:60).

ახლა ,,კასპს” 6 თამაშიდან 4 მოგება აქვს აქტივში და, დარჩენილი 2 მატჩის შედეგის მიუხედავად, გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებს (რაც შეეხება გუნდის საუკეთესო მექულის, თაბუაშვილის, მონაგარს, ქუთაისელთა კალათიდან მან 20 ქულა ჩამოყარა ,,საკუთარ მრიცხველზე”.

## შარშანდელი ჩემპიონი კვლავ ნაკრებშია



საქართველოს 2017 წლის ჩემპიონმა, დანიელ მარქარაშვილმა, ისევ დაიბევა ადგილი ქვეყნის ნაკრებ გუნდში, თავისუფალი სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის. მან ეს მოახერხა წლევანდელი თებერვლის ბოლო დღეებში ქ. თბილისში, სადაც თავი მოიყარეს 1998 - 2000 წლებში დაბადებულმა მოჭიდავეებმა.

კასპელი ჭაბუკი აქამდე მუდამ ფავორიტად გამოიყურებოდა. ახლა კი ერთგვარი ექსპერიმენტული გამოცდის წინაშე იდგა პირადი წონის მომატებასთან დაკავშირებით: ერთბაშად 3 წონითი კატეგორიით მძიმეწონოსნებში იასპარეზა. საწყისი ეტაპი წარმატებულად გადალახა, 4 მეტოქე ქულების აშკარა უპირატესობით ვადამდელ დროში დაამარცხა. აი, მომდევნო ორთაბრძოლა კი, საფინალო ზღურბლთან, უმნიშვნელო სხვაობით დათმო ახალი წონის მომავალ ჩემპიონთან თბილისელ მამიაურთან და, საბოლოოდ, ბრინჯაოს მედლის ამარა დარჩა. რაც მთავარია, ნაკრების სპეციალისტებს მისი ეიმედებათ და, აგერ, დანიელი უკვე ვარჯიშობს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში და უახლოესი საევროპო პირველობისათვის მონდომებით ემზადება.

## შესარჩევ ტურნირზე

კასპის სპორტული კომპლექსის (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) სამბოს სექციის მოჭიდავეთა 5- კაციანი გუნდი პირველად მონაწილეობდა ქ. თბილისში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატში (22- 23 თებერვალი). 2000-01 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შეჯიბრების მთავარი მიზანი იყო ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება წლევანდელი ევროპული და მსოფლიო პირველობებისათვის.

საევროპო ტურნირი უკვე მომდევნო თვეში, 13 - 15 აპრილს, გაიმართება ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში. ასე რომ, დრო მცირეა მოსამზადებლად.

თბილისურ შეჯიბრებაზე კასპელთაგან წარმოჩინდნენ გიორგი ხალიბეგაშვილი და ვასილ გვიმრაძე. მათ მე-3 საპრიზო ადგილები დაიკავეს და, შესაბამისად, ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ორივე შეყვანილია ნაკრების შემადგენლობაში და უკვე ემზადებიან პირველ - მეორე ნომრებთან ერთად. მართალია, პრაღაში მათი გამოსვლის შანსი მიზერულია, მაგრამ კარგია ის, რომ სანაკრებო დონეზე წვრთნა ახლო მომავალში, უთუოდ, კეთილად წაადგებათ.

## კასპის სპორტული კომპლექსი



## ყმაწვილ ძიუდოისტთა საგაზაფხულო პირველი...

საჭიდაო სკოლის (მენეჯერი ალექსანდრე ხუციშვილი) საგაზაფხულო პირველ შიდაშეჯიბრებაზე, თებერვლის მიწურულს, 33 მოზარდი გამოვიდა.

13 -14 წლის ყმაწვილებში ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდნენ 7 წონით კატეგორიაში. აი, პირველადგილოსანთა ვინაობა: ლუკა შარიფაშვილი (34კგ), თორნიკე გორჯოლაძე (38კგ), გიორგი ქებაძე (46კგ ), დიტო შუკაკიძე (50კგ), ნიკა ფავლენიშვილი (55კგ), ბექა მარქარაშვილი (60კგ) და გიორგი ლალიაშვილი (+60 კგ).

## თარიღი

### სპორტული ცხოვრების ისტორიიდან:

1 მარტი, 1950 - დაიბადა გიორგი ქამხაძე (მოჭიდავე, გარდ. 2015); 10 მარტი, 1941 - დაიბადა აკაკი მალაციძე (ვეტერანი



მოჭიდავე, საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის 1967 და 1970 წლების ფინალისტი);

15 მარტი, 1948 - 70 წლისა შესრულდა ქართული სპორტის ლეგენდა, ჭიდაობის მეგავარსკვლავი ლევან თედიაშვილი; 1938 - დაბადებიდან 80 წლისთავი შეუსრულდებოდა შოთა გულიაშვილს (საქართველოს 2 - გზის ფალავანს 1970 და 1971 წლებში);

21 მარტი, 1943 - დაბადებიდან 75-ე წლისთავი შეუსრულდა იური იმერლიშვილს (ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს);

24 მარტი, 1968 - დაბადებიდან 50 წლისთავის საიუბილეო თარიღი შეუსრულდა ტატო რამაზაშვილს (ვეტერანი მოჭიდავის, ლეგენდარული გოგლა რამაზაშვილის შვილიშვილს);

27 მარტი, 1962 - დაიბადა ალექსანდრე კონდრატიევი (ვეტერანი ფეხბურთელი); 29 მარტი, 1961 - დაიბადა ოლეგ იაძე (ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვეტერანი მოჭიდავე ქართული სპორტის სინამდვილეში).

**კასპის სპორტული კომპლექსი.**

# კარგი საქმის მიმბაძველნი

## ალაიანის საჯარო სკოლაში

ქველმოქმედება მხოლოდ უანგარო დახმარებას გულისხმობს და როგორც ყველა ქმედება, ორ მხარეს საჭიროებს. სუბიექტს - ვინც მოქმედებს და ობიექტს - ვისთვისაც ეს ქმედება ხორციელდება.

საქართველო ოდითგანვე მდიდარი იყო ქველმოქმედი ადამიანებით. დღესდღეობით ქველმოქმედება ერთეულთა რიცხვს გასცდა და საზოგადო ხასიათი მიიღო. ჩვენ ტელევიზიით გვინახავს რამდენი ადამიანი გადაურჩა სიკვდილს საზოგადოების აქტიურობის მეშვეობით, რამდენ გაჭირვებულს მოუგვარა პრობლემა თანამოძმეთა სიკეთემ და როდესაც ჩვენ გვერდით გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ჩვენი თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდებოდა, უყოყმანოდ გადავწყვიტეთ, ვყოფილიყავით კარგი საქმის მიმბაძველები და ჩვენი წვლილიც შეგვეტანა იმ სასიკეთო საქმეში, რომელსაც თანადგომა ჰქვია.



პირველ მარტს ალაიანის საჯარო სკოლაში განვახორციელეთ სოციალური პროექტი ,,ქველმოქმედება ლამაზი სიტყვაა, ქმედება - კიდევ უფრო ლამაზი”. ღონისძიების ჩატარების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ მეოთხეკლასელ მოსწავლეს მარიამ ფეიქრიშვილს სახლი დაეწვა. ოჯახს სოფლის მაცხოვრებლებიც და გამგეობაც მხარში ამოუდგნენ და მატერიალური დახმარება გაუწიეს, მაგრამ მარიამის თანაკლასელებმა მასწავლებლის შეთავაზება - გაემართათ საქველმოქმედო ღონისძიება და მარიამისთვის დამწვარი ფანდურის სამაგიერო ეყიდათ - დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს და დაიწყეს მზადება.

გადაწყდა, ჩაეტარებინათ საქველმოქმედო კონცერტი და ღონისძიებას უფრო ფართო მასშტაბი რომ მიეღო, საკონცერტო პროგრამაში ჩართეს პირველი, მეორე და მესამე კლასის მოსწავლეებიც, ასევე, სკოლის მომღერალთა გუნდი თამაზ დურგლიშვილის მონაწილეობით.

ღონისძიებას სკოლის პედკოლექტივისა და მოსწავლეების მშობლების გარდა ესწრებოდნენ სოფლის გამგებელი ზურაბ ქურასბედიანი და დეპუტატი ქიტესა ხოდელი.

მათ მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა-გაყიდვა აუქციონის წესით.

საქველმოქმედო კონცერტისთვის მოსწავლეებმა მოიფიქრეს სცენარი: დევმა შეიპყრო ბავშვების ერთ-ერთი მეგობარი, დაატყვევა და ბავშვებს წაუყენა პირობა, თუ კარგად გაართობდნენ, მათ ამხანაგს გაათავისუფლებდა. ბავშვებმა დაიწყეს დევის გართობა ცეკვებითა და სიმღერებით, მაგრამ როდესაც კონცერტის მსვლელობისას დევს მოშივდა და საჭმელი მოითხოვა, ბავშვები იძულებულები გახდნენ ნახატების აუქციონი მოეწყოთ. აუქციონის მიმდინარეობამ განსაკუთრებული ხალისი და მხიარულება შეიტანა ღონისძიებაში.

მაყურებლები ერთმანეთს ეცილებოდნენ და გასაყიდი ნახატების თანხას ზრდიდნენ, რის შედეგადაც თანხის უმეტესობა სწორედ აუქციონით შეგროვდა. კონცერტის დამამთავრებელი აკორდი იყო სიმღერა კინოფილმიდან ,,ცისკარა,” რომლის მოსმენა დევს ისე ესიამოვნა, რომ დატყვევებული გოგონა გაათავისუფლა, რასაც, რა თქმა უნდა, ბავშვების ჟრიამული მოჰყვა.



საქველმოქმედო კონცერტმა წარმატებით ჩაიარა და ბავშვებმა მიზანს მიაღწიეს - საკმარისი თანხა შეაგროვეს. ღონისძიების ბოლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლალი გელხაურმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას აქტიური მხარდაჭერისათვის და მარიამს გადასცა ახალი ფანდური, ხოლო თანხის დანარჩენი ნაწილი გადაეცა გიორგი თხილიშვილს, რომლის დედა საზღვარგარეთ მკურნალობს.

დასასრულს სოფლის გამგებელმა ზურაბ ქურასბედიანმა ისაუბრა მსგავსი ღონისძიებების მნიშვნელობაზე მოზარდი თაობის ცნობიერების სასიკეთოდ ფორმირებაზე და სურვილი გამოთქვა, რომ მსგავსი ღონისძიებები კიდევ გაიმართოს.

მეორე დღეს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლალი გელხაურმა წარმატებით ჩატარებული სოციალური პროექტისათვის მეოთხე კლასი სიგელით დააჯილდოვა.

ალაიანის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის დამრიგებელი ლალი ასლანიშვილი.

# “ძალადობა სისუსტეა...”

როგორც ყოველთვის, დაღონებული, ცრემლიანი თვალები სარკეში... ცოტა ხნის წინ გულის სიგნალებმა კვლავ მაუწყეს, რომ მორიგი დარდის გადატანა უწევს. ეს ხომ ისედაც ცხადია, მაგრამ მე რა შემიძლია გავაკეთო?! მე ხომ უბრალოდ ერთი პატარა, ყველასგან დაჩაგრული გოგონას ტვინი ვარ და მეტი არაფერი...

მაგრამ, რომ შემეძლოს იმის თქმა, რაც ვიცი, ჩემი პატრონი აღარ დაიტანჯებოდა ამდენს. იცოდით, რომ ადამიანის ტვინებს ერთმანეთთან კავშირი შეუძლიათ? ერთმანეთის ფიქრებს თავისდაუნებურად ისმენენ, მაგრამ თავიანთ პატრონებს ვერ აგებინებენ, ესაა ტვინების ყველაზე დიდი ტანჯვა... ასე რომ არ იყოს, ხომ სიხარულით ვაცნობებდი იმას, თუ რაოდენ სუსტები არიან ისინი, ვინც სხვების დაჩაგვრას ცდილობენ. რომ ეს მხოლოდ მათი უმწეობის დასაფარი ნიღაბია და პრობლემის ყველაზე პრიმიტიული გადაწყვეტა. ვეტყოდი, რომ იყო მოძალადე, ნიშნავს, იყო სუსტი და მეტი არაფერი, თუმცა ამის თქმა არ შემიძლია და იძულებული ვარ პატრონის ტანჯვას ვუყურო...

თვალები მატყობინებენ, რომ პატრონი სკოლის ეზოში გავიდა. თუმცა ამას ისედაც მივხვდი. უეცრად რამდენიმე ტვინის ფიქრი მომივიდა: “ახლა რა გავაკეთო ისეთი, რომ ყველასთან მაგარ ტიპად გამოვჩნდე?”,“მოდი ამ საფრთხობელას დავამცირებ, ისე მაინც ვერაფერს მეტყვის”. “ახლა თუ მას დავარტყამ, ჩემს სისუსტეს დავმალავ”... და იმავე წამს სხვადასხვა მხრიდან გაისმა დამცინავი სიტყვები და უეცარმა ხელის კვრამ ჩემი პატრონი ძირს დასცა... ველარ ავიტანე და პირველად ჩემს ცხოვრებაში გარშემო მყოფ ტვინებს ჩემი აზრი მოვახვიე თავს: “საცოდავი, მოძალადე და სუსტი არსებები ხართ, თქვენ თვითონაც ხვდებით, ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებთ, რომ გეშინიათ სხვებმა თქვენი სისუსტე არ დაინახონ, სინამდვილეში კი ძალადობა სისუსტის პირველი მანიშნებელია!...” ტვინები გააოგნა ჩემმა სიტყვებმა, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ სიმართლე ვთქვი, მიუხედავად იმისა, რომ ამის აღიარება არ სურდათ. უმალ პატრონს დავუკავშირდი, მოვუწოდე წამომდგარიყო და ერთხელ და სამუდამოდ პასუხი გაეცა მჩაგვრელებისთვის, მართლაც, ის წამოდგა და მისი მტკიცე ხმით წარმოთქმული სიტყვები სკოლის ეზოში ექოდ გაისმა: “თქვენ სუსტები ხართ, იმდენად სუსტები, რომ უბრალოდ მეცოდებით!”

შემდეგ ზურგი აქცია მოძალადეებს და წავიდა, თუმცა უკან დარჩენილი ტვინების ფიქრები დიდხანს მესმოდა: “ის მართალია, მე სუსტი ვარ, თუმცა ამას არ ვაღიარებ”, “მე ძალადობით ვცდილობ ჩემი უმწეობა დავმალო”, “სუსტი ვარ, ჩემი საქციელი მხოლოდ სისუსტეს გამოხატავს”, “მე მოძალადე ვარ, მაშასადამე ვარ სუსტი, მშიშარა, არარაობა”... სულ ბოლოს კი თითქოს სკოლის ეზოში მყოფი ყველა ტვინის ფიქრი გაერთიანდა და ჰაერში გამოიკიდა ორი სიტყვა:

“ა რ ა – ძ ა ლ ა დ ო ბ ა ს!”

მარიამ ბარნაბიშვილი,
სასირეთის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

# შეჯიბრება ჭადრაკში

თებერვლის ბოლოს კასპის სპორტული კომპლექსის დირექციის /ხელმძღვანელი გიორგი ნიპარიშვილი/ ინიციატივით კასპის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა პირადი პირველობა ჭადრაკში 12- წლამდელთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ზემო ხანდაკის, ახალქალაქისა და კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ასპარეზობა წარიმართა შვეიცარული სისტემით, ხუთ ტურად და ხუთივე შეხვედრა მოიგო /5 ქულით/ და პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ თორნიკე ზაქარაშვილმა. მეორე ადგილი წილად ხვდა /4 ქულით/ ზემოხანდაკელ მოსწავლეს გიორგი კელაპტრიშვილს, ხოლო მესამე ადგილი /3 ქულით/ დაიკავა ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლემ ბაჩი ბარნოვმა.

საპრიზო ადგილებზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

# სადებიუტო, შიდასასკოლო

ფრიად თვალსასეირო სანახავი გამოვიდა საჭიდაო სკოლის 8-9 წლის შეგირდების სადებიუტო შეჯიბრება: ვინც ვერ იმამლაყინწა და წააგო, მამებისა და პაპების თვალწინ ბავშვური ცრემლი აღვარღვარა, ვინც ივარგა და გაიმარჯვა, უზომოდ გაიხარა და მწვრთნელების შექება დაიმსახურა. თითქმის ყველამ კი ფასიანი საჩუქრები დაიმსახურა, მათ პატარაობაში პირველი ნამდვილი სპორტული შეჯიბრების სამახსოვროდ. მათგან ხომ ზოგი ჯერ ერთი წელია რაც ვარჯიშობს, ზოგიც — მხოლოდ რამდენიმე თვე. აგერ, ნორჩი პირველადგილოსნების გვარები: დაჩი ნაროზაშვილი (24 კგ.), აკო ბაშარული (27), დიმიტრი ჩერტკოევი (29), ირაკლი ბალხამიშვილი (32) და კახა ხრილოკიშვილი (35 კგ.)

კასპის სპორტული კომპლექსი.

# გამარჯვება ,,ნიჭიერებთან,,

საკალათბურთო დარბაზში მეგობრულ მატჩში ისპარინგეს ადგილობრივმა ჭაბუკებმა (მწვრთნელი მიხეილ მაკეივიჩი) და თბილისის ერთ - ერთი საკალათბურთო სკოლის გუნდმა (მწვრთნელი გია გვალია).

თამაში დასრულდა კასპელების გამარჯვებით (31:26 ).

გამოიწერეთ
“ახალი განთიადი”
და გახდით ჩვენი მკითხველი!

# ჰიროველი ხიდითი ყაცობს

ან მთავარის, ვირჩით მთავარი

გასული საუკუნის 80-იან წლებში ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველისათვის რომ გეკითხათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რისი გაკეთება შეგიძლიაო? დამერწმუნებით, ვერ მოიძიებდით თავდადების უნაპირო ზღვარს.

დამოუკიდებლობის მოპოვება მაინც აუხდენელ ოცნებათა რიგს განეკუთვნებოდა. ამ ყოვლისმომცველ ოცნებაზე შენდებოლა ქვეყნის განვითარების, აღორძინების, ამაღლების ყველა რეალობა.

თუ გავიხსენებთ რამდენმა ღირსეულმა მამულიშვილმა ჩაიტანა საფლავში ქვეყნის დამოუკიდებლობის ვერახდენილი ნატვრა, უცებ გაგვახსენდება ჩვენი თავი იმ დროს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, მართლაც და, ყველაფრისათვის ვიყავით მზად (მედროვეები ნუ შემომედავებიან!)

უმორჩილესად გთხოვთ, გაიხსენეთ მანამდე არსებული რეალობა, გაიხსენეთ თქვენი თავი იმ სინამდვილეში, გაიხსენეთ როგორ ვოცნებობდით საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

მაშინ რიგიანად არც კი ვფიქრობდით ჩვენს პიროვნულ ადგილზე საოცნებო საქართველოში. ალბათ, მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან საუბრისას თუ გვიფიქრია, რომ ნებისმიერ სამყაროში (ვიგულისხმოთ ის, როგორიც გვინდა) თავისუფლება ესაა გონიერი მოქმედების უფლება. თავისუფალი ვარ ე.ი. როგორც არ უნდა გიჭირდეს, უნდა მოიძიო საკუთარი ქმედების ნორმა და საკუთარ თავზე უნდა აიღო თავისუფლების სიმძიმე.

მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთობლიობა ქმნიდა და ქმნის თანამედროვეობის დროულ სურათს. ნებისმიერი ძნელბედობისას, თითოეულზე ცალკე ფიქრი ხალიჩაზე ფერის გარჩევას ჰგავს, თუ რეალობის აღქმაა საჭირო — სამივე უნდა დავინახოთ სრული არსით. შთამომავლობისათვის უმთავრესია იცოდეს, რასა აქვს მამულიშვილისათვის მუდმივი ღირებულება — გარდასულის რესტავრაციას თუ თანამედროვეობის მიერ შექმნილი ქვეყნის ეთიკურ და ზნეობრივ არსს?

ქართველისათვის მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება მრავალმხრივად მნიშვნელოვანი იყო და არის. თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვა გაცილებით მეტი იყო ვიდრე ურთიერთობის საშუალება, მეტიც ვიდრე პოეტური მეტყველების იარაღი. ამიტომაც თავგამოდებით ვიბრძოდით ამ ღვთაების თავისთავადობისა და შეურყვნელობისათვის.

იყო ისეთი დროც… წინაპართა ნაგებ ეკლესია-მონასტრებში "სტუმარი-მასპინძელის" უფლებით ხატები გადაგვილებეს, გაგვითეთრეს, "გაგვილამაზეს," მოძმის ესთეტიკის დანერგვა-დაკანონების იმედით "გადაგვხდა გადასახდენი, უარესს კიდევ მოველით…"

მერე დარჩენილი ეკლესიებიდან მრავალი "საკუთარი ხელით" დავანგრიეთ, მერე უმადურმა ხიზანმა ზურგში დანა ჩაგვარტყა და ენის წართმევა მოგვინდომა, სამაჩაბლოც სხვა ქვეყნის მიწად მოიჩვენეს, აფხაზეთი ერთმორწმუნე, მდიდარი მეზობლის საагარაკოდ…

ორიათას წელზე მეტია ქადაგებს უფალი — უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს, ამოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობესია არ გქონდეს იგი, ვიდრე მთელი სხეული შთანთქას გეენიამ, გიყვარდეს მოყვასი შენი, თუ მოყვასს სურდეს პერანგი შენი, მიეცი მას სამოსელი…

გულში სახლობით გადადიოდა უფალი თაობებში სიტყვით, სიკეთით, სიყვარულით…

მაგრამ "ჰანიბალი ჭიშკართან იდგა" და მისი მცდელობით ხშირად ცხოვრება დისპროპორციულ სარკეში დანახული რეალობა ხდებოდა, ისეთი, თეატრის დაბადების გარიჟრაჟზე რომ მოიგონეს ემოციის გასამძაფრებლად, მნახველთა გასაოცებლად, შესაშინებლად, დასამორჩილებლად, მათზე საბატონოდ — ეს პარადოქსი კი არა, ქართველთა ბედისწერა გახდა.

ციფრულ სამყაროში დაუჯერებელ კინო სცენებს ეკრანზე ვხედავთ, (რაც მთავარია, ვიჯერებთ!) ეს მხოლოდ ილუზიაა, მაგრამ მაყურებლისათვის სიმართლეა, რადგან ვერ ვამჩნევთ პირობითობის ტექნიკურ ელემენტს. რა დაემართებოდა ამ სიმართლეს, ეკრანზე რომ პროგრამისტის მაუსს ავდევნებოდით?

როგორც ადამიანის, ასევე ქვეყნის ცხოვრებაშიც დგება ეტაპი, როდესაც იწყება უცნაური რამ — მორალური, ზნეობრივი და უბრალოდ ადამიანური ვითარებები ისეა არეული, თითქოს მოვლენათა განვითარების ლოგიკა გამჩენისათვის აუცილებელი არ იყოს და მას უფლება ჰქონდეს მიუღებელი ლოგიკურად ჩათვალოს და ამის მიხედვით შეიქმნას რეალობა.

იღბალს მინდობილმა ქართველებმა ყოველთვის იცოდნენ (ან იქნებ გრძნობდნენ?), რომ არ არსებობს მოქმედება თავისთავად გამოთიშული გარემოდან და ჩვენი მორალური წარმოდგენებიდან, ამიტომ ზრუნავდნენ ერისკაცები მორალურ წარმოდგენათა დაწმენდასა და გარეალურებაზე.

საზოგადო ჭირი ნათლად აჩენდა ენის, მამულის ცხოვრება-განვითარების ეტაპს. ამასთან, სარწმუნოების დაცვა ქართველობის დაცვას ნიშნავდა.



ყოველივეს ერთობლიობა ქმნიდა ცხოვრების გზას, რომლითაც ერიც და ქვეყანაც ღმერთთან მიდიოდა.

კიდევ კარგი, რომ მეხსიერება ინახავს მხოლოდ საუკეთესოს.

"რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა შინა, არამედ აქვნდეს ცხოვრება საუკუნო". — ამბობს უფალი — აღდგომის მოლოდინში ამაზე კარგი რა ვუსურვოთ ერთმანეთს.

რწმენის ამაღლებას, ენის გაძლიერებას, მამულის გამთლიანებას გისურვებთ!

კიდევ კარგი, ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

**P.S.** მხოლოდ გული ხედავს ყველაფერს. არსებითი უხილავი რჩება თვალისთვის.

კაციც და ერიც მაინც იმით ფასობს რღვევას თუ აქცევს გამთლიანებად, ნგრევას აშენებად, სიძულვილს სიყვარულად. ამ უნარის გარეშე ვჭირდებით კი დედამიწის ისტორიას?

**ნანა მერებაშვილი.**

# „შვილიდით აღმზრდელობა, შვილიდით მიგომზრდა…"

შინაარსიანი, ძალიან საინტერესო შეხვედრა ჩატარდა კასპის სკოლა-გიმნაზიაში. ამ თბილი, დასამახსოვრებელი საღამოს მოწყობისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ გიმნაზიის პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები. განსაკუთრებული დავალება ჰქონდათ პირველი კლასის მოსწავლეებს და მათ ხელმძღვანელს მაია მერებაშვილს…



ბავშვებმა თბილი, ერთგვარი თეატრალიზებული წარმოდგენა გაუმართეს სტუმრად მოწვეულ გიმნაზიის ყოფილ თანამშრომლებს, დაწყებითი კლასების ყოფილ პედაგოგსა და მრავალი თაობის აღმზრდელ მასწავლებელს ია ხუციევს და გიმნაზიის ყოფილ ბულალტერს მერი ჩიტალაძეს.

საიუბილეო საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა ბესიკ ნიპარიშვილმა, რომელმაც თავის გამოსვლაში ვრცლად ისაუბრა ამ ორი დამსახურებული მუშაკის ნაყოფიერ მოღვაწეობასა და ბიოგრაფიაზე:— ია ხუციევი გიმნაზიის დაარსების დღიდან მუშაობდა დაწყებითი კლასების მასწავლებლად, თუმცა ჩვენი კოლეგიალური ურთიერთობა დიდი ხნის წინ დაიწყო, დიახ, 17 სასწავლო წელი ერთად გავატარეთ კასპის პირველ საშუალო სკოლაში, — იხსენებს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი,— იმ დღიდან მოყოლებული ია მასწავლებელს ვიცნობ, როგორც მეთოდურად დახელოვნებულ პედაგოგს, შეუდარებელ კოლეგასა და მრავალი თაობის აღმზრდელს. მან გიმნაზიაში 2002 წლის სექტემბრამდე იმუშავა და მოხარული ვარ, რომ წასვლის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა მისმა გამოზრდილმა მაია მერებაშვილმა; რაც შეეხება ქალბატონ მერი ჩიტალაძეს, ჩვენი საზოგადოება მას შესანიშნავად იცნობს კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში მოღვაწეობიდან, იგი ჯერ ეკონომიკურ საგნებს ასწავლიდა, შემდეგ წლების განმავლობაში ტექნიკუმის ბულალტერი იყო, მოგვიანებით კი გადაწყდა ჩვენი ერთად მუშაობა, უფრო ზუსტად, 1994 წლის პირველი ოქტომბრიდან 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ქალბატონი მერი მუშაობდა სასწავლებლის ბულალტრად.

ერთი სიტყვით, სასწავლებლის დირექტორმა ბატონმა ბესიკ ნიპარიშვილმა ძალიან თბილად ისაუბრა თავის გამოსვლაში ამ ორი დამსახურებული მუშაკის ნაყოფიერ შრომით მოღვაწეობასა და ბიოგრაფიაზე, ორივე მათგანს გულითადად მიულოცა დაბადებიდან 80 წლის იუბილე და მადლობა გადაუხადა სასწავლებელში სტუმრობისათვის.

მასპინძლებმა ბოლოსთვის შემოინახეს სიურპრიზი, საქმე ის გახლავთ, რომ სასწავლებლის დირექტორმა მთელი პედაგოგიური კოლექტივის სახელით საზეიმო ვითარებაში გადასცა სტუმრებს საიუბილეო საჩუქრები და ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა, შემდეგ კი, სტუმარ-მასპინძლებმა სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

**რ.ქართლელიშვილი.**

გინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში? გამოიწერეთ „ახალი განთიადი"



## ტრენინგი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის

თებერვლის მიწურულს კასპის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოქმედი საოჯახო სასტუმროების და ღვინის მარნები სურსათის უვნებლობის საკითხებზე, კერძოდ “ჰიგიენა და უსაფრთხოება” ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგს საოჯახო სასტუმროების მართვის საკითხებით დაინტერესებული ადამიანები და მარნების მეპატრონეები ესწრებოდნენ.

ტრენინგი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, შიდა ქართლის ტურისტული კავშირი „მეგზურის“, გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს, ტურიზმის განყოფილების მხარდაჭერით ჩატარდა.

ტრენინგის მონაწილეებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სერტიფიკატები გადაეცათ.

## ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ფერმაში



ფერმის აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული წელს ჩვეულად აღნიშნა.

20 მარტს სოფელს ესტუმრნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის რეგიონალური ოფისის წარმომადგენლები... ევროკავშირის დამკვირვებელი ედვინ ვან დიჯკენი შეხვდა სოფლის მოსახლეობას, გაესაუბრა მოსწავლე-ახალგაზრდობასა და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და გულითადად მიულოცა ფერმელებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული.

მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ახლა სოფლის სტადიონზე გადაინაცვლეს, სადაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის წარმომადგენლებმა და ფერმელმა ფეხბურთის მოყვარულებმა ამხანაგური მატჩი გამართეს და სხვათა შორის, მასპინძლებმა /ანგარიშით 8:2/ იმარჯვეს.

— შეხვედრას მთელი სოფელი ესწრებოდა, დღესასწაულს აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან ერთად ქართველებიც გულწრფელად ზეიმობდნენ, — განაცხადა ფერმის საჯარო სკოლის დირექტორმა შახალ ისმაილოვმა, — იყო სასიხარულო განცდა, დადებითი განწყობა.

ამ დღეს ბევრჯერ გაიხსენებენ ფერმელები და არა მხოლოდ ისინი.
















## ხატო ზეციერო წოდებულო გვიხსენ ჩვენ ყოველთაგან განსაცდელთა, მფარველმოწყალე!

დასასრული.

1486 წელს სამცხეს იაყუბ ყაენი შემოესია. მან მოსახლეობის ნაწილი ამოხოცა, ნაწილი კი ტყვედ აიყვანა. ყაენმა შეიპყრო აწყურის ხატიც; სამკაულთაგან განძარცვა და ცეცხლში ჩააგდო, მაგრამ ხატი სასწაულებრივად გადარჩა. ყაენის ლაშქარში მყოფმა ერთმა არამართლმადიდებელმა ქრისტიანმა წმინდა ხატი მანუჩარ ათაბაგს დაუბრუნა.

1540-იან წლებში სამცხე ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. 1546 წელს ბაგრატ იმერთა მეფემ სამხრეთისკენ გაილაშქრა; სამცხე ვერ დაიბრუნა, მაგრამ აწყურის ღვთისმშობლის ხატი გამოიტაცა და ციხისჯვარში დაასვენა, 1553 წელს კი იმერეთში გადააბრძანა.

1562 წელს ბაგრატის ძემ, იმერთა მეფე გიორგი და ქაიხოსრო ათაბაგმა ზავი დადეს და იმერლებმა ღვთისმშობლის ხატი მესხებს დაუბრუნეს.

ხატზე გაკეთებულ წარწერაში ასე იკითხება: ჩვენ, მეფეთმეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედუფალთ-დედუფალმან თამარ და ძეთა ჩვენთა პირმშოთა ალექსანდრე და მამიამ, მოვაჭედინეთ ხატი ესე ყოვლადწმიდისა, წარსამართებლად მეფობისა ჩვენისათვის და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად. ამინ.

აწყურის ღვთისმშობლის ხატი ნახსენებია 1645 წლის როსტომ მეფის სიგელშიც. ხატი, გარკვეული პერიოდი დასვენებული ყოფილა სვეტიცხოველში, შემდგომ კი იმერეთში მოხვედრილა, მაგრამ ზუსტი დრო გაურკვეველია.

დღესდღეობით, მუზეუმში დაცული წმინდა ხატი ჩასვენებულია ტრიპტიქის სახის მოჭედილ კუბოში, რომელიც, წარწერის თანახმად, შესრულებულია იმერეთის მეფის სოლომონის შეკვეთით 1764 წელს.

აწყურის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებით ცნობილია მამა გაბრიელის მოწოდება ქართველი ერისადმი: სანამ ერი მუზეუმიდან ანჩისხატს არ დაიბრუნებს, აწყურის ღმრთისმშობლის ხატი არ გამოჩნდება და ივერიის ღმრთისმშობლის ხატი არ ჩამობრძანდება, როგორღა გაბრწყინდება საქართველო?

## ,,იმედი,, შიდა ქართლის რეგიონის გამარჯვებული



სოფელ სასირეთის ფეხბურთის ბავშვთა გუნდი “იმედი” შიდა ქართლის რეგიონის მეგობრობის თასის ტურნირის გამარჯვებული და თასის მფლობელი გახდა. გამარჯვებულ გუნდს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა გამარჯვება მიულოცა, თასი გადასცა და შემდგომი წარმატებები უსურვა. გუნდის ყველა წევრი ტურნირის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა, რომელიც მონაწილეებს მერიის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმა გადასცა.

“იმედის” მწვრთნელმა ზურაბ ბეჟიტაშვილმა მუნიციპალიტეტის მერიას მადლობა გადაუხადა ტურნირში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76